

კინომსახიობის პრობლემა ქართულ კინოში

სოფიო სიმონიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები
(კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თეო ხატიაშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2019 წელი

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო სიმონიშვილი

04. 11. 2018.

სარჩევი

აბსტრაქტი.....	1
შესავალი.....	4
კვლევის მიზანი, აქტუალობა და პრობლემები.....	9
თეატრის გავლენა კინოსა და სამსახიობო ოსტატობაზე.....	11
მსახიობი, როგორც “ფიზიკური რეალობის რეაბილიტაციის ნაწილი” (ზიგფრიდ კრაკაუერი და ბელა ბალაჟი კინომსახიობის შესახებ).....	27
მსახიობის საკითხი თანამედროვე ქართულ კინოში.....	35
დასკვნა.....	47
ბიბლიოგრაფია.....	51

აბსტრაქტი

თეატრალური ხელოვნება, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს, განსაკუთრებით მაშინ ხდება ელიტისტური, როდესაც იბადება და მკვიდრდება კინო, რადგან ჩნდება შიში მისი აქტუალობის დაკარგვის. კინოს დაბადებამ თეატრალურ საზოგადოებაში გამოიწვია ერთგვარი უარყოფა, აროგანტული დამოკიდებულება და მიუღებლობა, როგორც ბანალური და “მასების” “მდაბიური” ხელოვნების მიმართ, თუმცა, უკვე რამდენიმე ათწლეულში კინომ მოიპოვა და დაიმკვიდრა ხელოვნების სტატუსი. დღემდე საყურადღებოა კამათი ამ ორი დარგის თავისებურებებზე, რომლებსაც სრულიად განსხვავებულ სპეციფიკასთან ერთად ბევრი მსგავსებაც აქვთ იმ თვალსაზრისით, რომ ორივე დროითი და სივრცული ხელოვნებების სინთეზს წარმოადგენს, რომელიც იქმნება კოლექტიურ შემოქმედებით პროცესში, თუმცა ჰყავს ავტორი რეჟისორის სახით, არსებობს პიესა, რომელშიც თამაშობენ მსახიობები და ა.შ. გვერდს ვერ ავუვლით იმაზე საუბარს, რომ საწყის ეტაპზე რეჟისორებისა თუ მსახიობების ნაწილი კინოში თეატრიდან მოდის, (თუმცა დღევანდელ რეალობაში კინორეჟისორს შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს შეხება თეატრთან). ნაწილი კი უფრო ბედის მამიებელი იყო ამ ახლად გაჩენილ სფეროში, ვიდრე პროფესიონალი თეატრალი და რა თქმა უნდა მათ შორის კონკურენცია იზრდება. თუმცა, თამამად უნდა ითქვას, რომ კინოხელოვნებამ დაიკავა დამოუკიდებელი და თანასწორი ადგილი სხვა ხელოვნებებთან მიმართებაში. „გაცოცხლებულმა ფოტოგრაფიამ“ წარმოუდგენელი ეფექტი მოახდინა მაყურებელზე და დოკუმენტური, რამდენიმე წამიანი კადრებიდან იქცა მასობრივ სანახაობად, რომელიც დღეს მთელ სამყაროზე ზემოქმედებს. ეტაპობრივად გაჩნდა ახალი პროფესიები: კინოოპერატორი, კინორეჟისორი, კინომსახიობი და სხვა. თავდაპირველად მსახიობმა კამერის უკან თეატრიდან გადმოინაცვლა და დღეს უკვე სრულიად გამიჯნულია ამ ერთი პროფესიის ორი სხვადასხვა სამყარო. თემის მიზანია, თეატრის, როგორც პირობითი სამყაროს და კინოს,

როგორც ყველაზე მეტად რეალისტური ხელოვნების მსგავსებები და რადიკალური სხვაობები წარმოაჩინოს და მათი სიღრმისეული ანალიზი შესაძლებელი გახადოს. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილავ რეჟისორებს და მათ შემოქმედებას, რომლებიც თეატრიდან კინოში მიდიან და შემდეგ უკან ბრუნდებიან, რადგან გაჩენილ წინააღმდეგობებს ან ვერ უმკლავდებიან ან თავის დარგში უკეთეს შედეგებს აღწევენ. აქცენტი გაკეთებული იქნება ქართული კინოსა და თეატრის მაგალითზე. ფილმმა დაარღვია ის დისტანცია, რაც არსებობს თეატრში, მოძრავ კამერას მიჰყვება თვალი და მოქმედების ეპიცენტრში მიჰყავს მაყურებელი, რომელიც უკვე გარედან აღარ უყურებს ყოველივეს, ის ჩართულია ფილმის მოქმედებაში და პერსონაჟებთან ერთად „მოგზაურობს“. კინო ეს საერთაშორისო ენაა, ყველასთვის გასაგები მიმიკებითა და გამომეტყველებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თეატრი, კინო, მსახიობი.

Abstract

Theater Art, which exists since the ancient times, becomes elitist, especially when cinema is born and established, creating a phobia that Theater loses its topicality. Within the theatrical society, birth of the Cinema has caused a kind of denial, arrogant attitude and rejection of the so called banal and “mass” “common” art, however, in a few decades, the film industry has gained and established a status of the art. Disputes concerning the features of these two sectors are notable until today. Together with having completely different specifics, they have many similarities in terms of representing the synthesis of arts in time and space, made in the collective creative process, with a director acting as an author, there is a play with the actors performing

and etc. We cannot avoid the discussion that at the initial stage, part of the directors and actors come to Cinema from the theater (Although, in the current reality, a film director may have no relationship with the theater at all). Part of them were more like the fortune seekers in this newly emerging field, than professional theater-goers, and of course, competition between these parties is growing. However, it can be said boldly, that the film industry has gained an independent and equal place in terms of comparison with other arts. "Revived photography" had an incredible effect on the audience and out of a few seconds of footage it became a mass spectacle currently having an impact on the whole universe. New professions have emerged gradually: Director of photography, film director, film actor and etc. Initially, theater actors have moved behind the camera and as of today, different worlds of this single profession have been completely separated. Goal of this Thesis is to show the similarities and radical differences between the theater, as of the optional world, and the Cinema, as of the most realistic art, making their deep analysis possible. For a better visualization, I will discuss the Directors (and their creativity) going from the theater to the film industry and coming back afterwards, either due to the failure to overcome the new obstacles or by achieving the better results in their initial field. Emphasis will be directed to the examples from the Georgian film and theater. The film has already breached the distance existing in the theater, the eye follows the moving camera and leads the audience to the center of the action. The audience is not looking at the things from the outside anymore, but it is involved in the film action and "travels" with the characters. Film is an international language, with the gestures and facial expressions that can be understood by anyone.

Key search words: Theater, Film, Actor.